ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

11 (10049) •31 marti • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

დეპუტატებმა სამთავრობო კომისიის მოდელს დაუჭირეს მხარი

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღეს საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღარ განხორციელებულიყო თვითმმართველობის მეორე ეტაპი, რომელიც მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე გარდამავალ დებულებებში მოცემულ ვალდებულებათა შესრულებას გულისხმობდა. მთავრობის გადაწყვეტილებით თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში 7 თვითმმართველი ქალაქის (გორი, თელავი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ახალციხე, ამბროლაური, მცხეთა) გამოყოფის შემდეგ დარჩენილ ტერიტორიაზე თითო მუნიციპალიტეტი ჩამოაყალიბოს.

სხდომის მიმდინარეობისას, აღმოჩნდა, რომ ამის შესახებ მხოლოდ სხდომაზე დამსწრე მუნიციპალიტეტის გამგებელმა კონსტანტინე შარაშენიძემ იცოდა, რომელსაც ამ დღეს თათბირზე სოფლის რწმუნებულები ჰყავდა დაბარებული. მას შემდეგ, რაც საკრებულოს სხდომას დაეტყო, რომ საკმაო ხანს გარძელდებოდა კამათი რეფორმის მეორე ეტაპის საკითხებზე, შეეცადა ეს ინფორმაცია მიეწოდებინა დეპუტატებისთვის, რასაც უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.

—მე ამჯერად ამ დარბაზში ყველაზე მეტად ვარ ინფორმირებული. რეფორმას რა სჯობია, მაგრამ ამ ეტაპზე რჩება თვითმმართველი ქალაქი და რაიონი.

ამ სიტყვების შემდეგ დეპუტატმა შალვა თავდიშვილმა განაცხადა, რომ რა აზრი აქვს ჩვენს მსჯელობას, როცა ზემოთ ყველაფერი გადაწყვეტილი აქვთ.

თუმც, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილი, რომელმაც კარგად ჩამოაყალიბა რეფორმის არსი და ცალკეულ დეპუტატებს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებდა, აცხადებდა, რომ სამთავრობო კომისია მზადაა განიხილოს საკრებულოს და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივა, თუ საჭიროდ მიიჩნევს, გაითვალისწინოს და საკითხი გადასცეს მთავრობას, მთავრობამ შემდეგ გადაუგზავნოს პარლამენტს.

რეფორმის დადებით მხარეებზე საუბრობდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალების“ თავჯდომარე მიხეილ გოგოტიშვილიც. მისი თქმით საპილოტე პროექტი ბევრ რამეს შეცვლიდა ოზურგეთისთვის. გოგოტიშვილმა კომპრომისული ვარიანტიც წამოაყენა და დეპუტატებს შესთავაზა რაიონი გაიყოს შუაზე და აღმოსავლეთის და დასავლეთის მუნიციპალიტეტები შექმნილიყო. ამ წინანადებას დეპუტატმა თემურ ჯახვამაც დაუჭირა მხარი.

—მუნიციპალიტეტები თავის თავს ვერ შეინახავს და ამიტომ თუ გვინდა რეალური თვითმმართველობა, მუნიციპალიტეტების ეკონომიკა ძირითადად დამოუკიდებელი უნდა გავხადოთ და ამისთვის 2017 წლის არჩევნებისთვის მოვემზადოთ—განაცხდა დეპუტატმა დიმიტრი კვერღელიძემ.

დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ პოლონურ მოდელზე ისაუბრა, თუმცა შემდეგ თქვა, რომ აქ პიროვნებები ირგებენ კანონს, ვიღაცას უნდა 28 სოფლის მართვა, ვიღაცას არა.

დეპუტატებს რეფორმის მნიშვნელობაზე თავიანთი პოზიცია გააცნეს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა: დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ლევან ხინთიბიძემ, ექსპერტმა ირაკლი პაპავამ, საია-ს იურისტმა ქეთი თოიძემ.

—თვითმმართველობა გამსხვილებულად არ განხორციელდება. მუნიციპალიტეტები მეტად უნდა იყვნენ ხალხთან. ის, რაც არის წარმოდგენილი, არ არის თვითმმართველობა —განაცხადა ლევან ხინთიბიძემ.

ავთანდილ მექვაბიშვილი ცდილობდა დეპუტატების მხარდაჭერას და უხსნიდა, რომ როცა მუნიციპალიტეტი საპილოტე იქნებოდა, გარდა ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებისა, მიიღებდა ევროკავშირის გრანტებს. ხოლო 2017 წელს ეს რეფორმა საყოველთაო იქნება და ამ სიკეთეს დაკარგავდნენ.

მას შემდეგ, რაც ვერ შეჯერდნენ, სხდომის თავმჯდომარემ ხუთწუთიანი შესვენება გამოაცხადა. ამ დროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა სხდომაზე დამსწრე სოფლის რწუნებულთათვის მცირე თათბირის ჩატარება გადაწყვიტა.

—ეს ყველაფერი ლაი-ლაია. წინ მარტია, ხვნა-თესვა, აღდგომაა, ინფრასტრუქტურული პროექტები მოდის, სად მცალია სამარჩიელოდ...

შარაშენიძის ამ რეპლიკას მექვაბიშვილის მწვავე რეაქცია მოჰყვა:

▶▶▶ გვ-2

დავით დარჩია: „ჩვენ კვლავ ვახდენთ კანდიდატების შესწავლას“

ნუგზარ ასათიანი

„ქართული ოცნების“პოლიტსაბჭომ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სია.

ამჟამინდელი მდგომარეობით სია ასე გამოიყურება:

კონჭკათი **—ტარიელ არაშიძე** („ქართული ოცნება“);

ცხემლისხიდი— **მიხეილ ჩხაიძე** („ეროვნული ფორუმი“);

ჯუმათი — **ლადო გვილავა** („ეროვნული ფორუმი“);

ასკანა — **ილო მამალაძე** („ქართული ოცნება“);

ძიმითი —**ტიტე მგელაძე** („თავისუფალი დემოკრატები“);

შრომა —**ბესიკ ქარჩავა** („ქართული ოცნება“);

მერია —**თეიმურაზ ბაქანიძე** („რესპუბლიკური პარტია“);

გურიანთა — **ბონდო ღლონტი** („ეროვნული ფორუმი“);

ბახვი —**ეროდი გორდელაძე** („ქართული ოცნება“);

ნაგომარი —**ჯიმშერ ეზიეშვილი** („რესპუბლიკური პარტია“);

ნატანები —**დავით სიხარულიძე** („ქართული ოცნება“);

ლიხაური —**კახა გობრონიძე** („თავისუფალი დემოკრატები“);

ნასაკირალი — **შოთა ართმელაძე** („ქართული ოცნება“);

ბაილეთი — **ჯონდერ ჩხარტიშვილი** („კონსერვატიული პარტია“);

თხინვალი —**ბიძინა გობრონიძე** („ქართული ოცნება“);

მაკვანეთი — **ნუგზარ კალანდარიშვილი** („ქართული ოცნება“);

ლაითური —**რუბენ გაბაიძე** („ქართული ოცნება“);

ვაკიჯვარი —**ვახტანგ ნიჟარაძე** („ქართული ოცნება“);

ნარუჯა — **ესე ჯაყელი** („მრეწველები“);

სოფ. ოზურგეთი — **დიმიტრი კვერღელიძე** („თავისუფალი დემოკრატები“);

ჭანიეთი —**ირაკლი რამიშვილი** („ქართული ოცნება“);

ბოხვაური —**ირაკლი ჩავლეიშვილი** („რესპუბლიკური პარტია“);

მთისპირი —**ვლადიმერ ჩავლეიშვილი** („ქართული ოცნება“);

მელექედური — **ლევან კილაძე** („ქართული ოცნება“);

ურეკი — **ჯაბა მიქაბერიძე** („ქართული ოცნება“);

სილაური — **ხვიჩა კილაძე** („ქართული ოცნება“);

დვაბზუ — **ირმა სკამკოჩაიშვილი** („ქართული ოცნება“);

შემოქმედი —**ზაზა ცინცაძე** („თავისუფალი დემოკრატები“);

▶▶▶ გვ-2

ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში კვლავ დაბალია

ნინო ნიკოლაიშვილი

29 მარტს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ორგანიზებით შეხვედრა-მრგვალი მაგიდა ჩატარდა თემაზე ქალთა მონაწილეობის საკითხის განხილვა ადგილობრივ არჩევნებში. ღონისძიება გაიმართა შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.

შეკითხვაზე, რატომაა დაბალი ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში, და რას აკეთებენ საამისოდ პოლიტიკური პარტიები, პარტიათა წარმომადგენლების პასუხი ერთგვარი გახლდათ, ისინი მზად არიან პარტიულ სიებში ჰყავდეთ მეტი ქალი კანდიდატი, თუმცა თავად ქალთა მხრიდან დაბალია მონაწილეობის სურვილი.

▶▶ გვ-6

7 დღის ამინდის პროგნოზი

31 მარტი	1 აპრილი	2 აპრილი	3 აპრილი	4 აპრილი	5 აპრილი	6 აპრილი
მცირე თოვლი	მზე	მზე	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე	წვიმა
+1+9	+3+12	+5+15	+4+16	+5+12	+9+14	+13+19
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

დეპუტატებმა სამთავრობო კომისიის მოდელს დაუჭირეს მხარი

–ეს როგორ შეიძლება? აქ შესვენებაც სხდომის ნაწილია. აქ ახლა არაფრის ჩატარება არ შეიძლება და არც არავის მივცემ ამის უფლებას. თქვენი ეს ქმედება სხდომის ჩაშლის ტოლფასია.

ამის შემდეგ მოკამათეებმა რამდენიმე სიტყვა გაცვალეს და გამგებელმა სოფლის რწმუნებულებთან ერთად დარბაზი დატოვა. ხოლო მექვაბიშვილმა გამოაცხადა, რომ ქვორუმის უქონლობის შემთხვევაში სხდომა ჩაიშლებოდა.

ხუთი წუთის შემდეგ დეპუტატები დარბაზში დაბრუნდნენ. სხდომაზე 24 დეპუტატიდან 19 დაბრუნდა. სხდომის თავმჯდომარემ გაითვალისწინა დეპუტატების მოსაზრებები და კენჭისყრაზე სამი ვარიანტი დააყენა შემდეგი თანმიმდევრობით:

1+1 ანუ თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი მუნიციპალიტეტი;

1+2 ანუ თვითმმართველ ქალაქს პლუს ორი თვითმმართველი თემი;

1+6, ანუ თვითმმართველ ქალაქს პლუს ექვსი თემი.

სამთავრობო კომისიის მიერ წარმოდგენილი მოდელი კენჭისყრის შედეგად 13 დეპუტატის ხმით (მ. მჟავია, დ. კვერღელიძე, ლ. ნაცვალაძე, ვ. გირკელიძე, ხ. კილაძე, პ. კიღურაძე, თ. მოქია, ლ. ნინიძე, თ. ჯახვა. ა. ხინთიბიძე, ზ. ჭანუყვაძე, გ. ხუჭუა, ი. რობაქიძე) დამტკიცდა. ნაციონალების ფრაქციის 4 დეპუტატი ამ ვარიანტის კენჭისყრაში არ მონაწილეობდა.

მხარი არ დაუჭირეს: ა. მექვაბიშვილი, მ. გოგოტიშვილი, ა. ნემსაძე, შ. მარგალიტაძე, თ. ქინქლაძე, მ. ხომერიკი.

სხდომის შემდეგ სამთავრობო კომისიის მოდელის მოწინააღმდეგეებმა განაცხადეს:

–რეფორმის სიკეთით მხოლოდ ქ. ოზურგეთის მოსახლეობა ისარგებლებს. რეალურად არაფერი შეიცვლება სოფლის მოსახლეობისთვის. დეპუტატებმა სოფლების სიკეთისკენ წინსვლას არ დაუჭირეს მხარი. კვლავ წავა ბიუჯეტის გადაქაჩვა ძლიერი სოფლებისკენ და სუსტი სოფლები კვლავაც დაჩაგრულთა რიგებში დარჩებიან...

დავით დარჩია: „ჩვენ კვლავ ვახდენთ კანდიდატების შესწავლას“

აღნიშნული სიის გამოქვეყნებამ არაერთგვაროვანი შეხედულებები გამოიწვია საზოგადოებაში. გაზეთმა „ალიონმა“ ამ თემაზე კომენტარი „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩიას სთხოვა.

–ბატონო დავით, დავიწყოთ იმით, რომ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატების სიაში მხოლოდ ერთი ქალბატონია წარმოდგენილი

– პარტიულ სიაში გვყოლება ქალბატონები და ვეცდებით ეს ბალანსი ნაწილობრივ გამოვასწოროთ. ისე სოფ. ცხემლისხიდში გვინდოდა მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატად სკოლის დირექტორი ლალი სიჭინავა ყოფილიყო, მაგრამ ამ სოფელში „ეროვნულმა ფორუმმა“ დააყენა თავისი კანდიდატურა

–საზოგადოება უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა სიაში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი აქტივისტები არიან

–ჩემი პოზიცია ასეთია. მაინცდამაინც არ ვყოფ საზოგადოებას. ეს ხალხი არ იყო პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. ისინი თავიანთ სოფელში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ, პროფესიონალები არიან.

ჩვენ ამ სიის საოლქო კომისიაში წარდგენამდე თვენახევარი გვაქვს წინ. ამ ეტაპზე ვახდენთ დასახელებული კანდიდატების შესწავლას და არაა გამორიცხული სიაში კორექტირება გაკეთდეს.

–ხომ არ დავვისახელებდით იმ კანდიდატებს, რომლებიც თქვენ წარადგინეთ პოლიტსაბჭოში და უარი მიიღეთ.

–ჭანიეთში საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარის ავთანდილ სურგულაძის კანდიდატურას ვგეგმავდით. მას და მის ოჯახს სოფელში დიდი ავტორიტეტი აქვს. უარი მივიღეთ. რაც შეეხება მაკვანეთს აქ ბაოუ თოიძის კანდიდატურა მოიწონეს, მაგრამ მან თავისი სპეციალობით კონკურსში გაიმარჯვა და თუ მუშაობას დაიწყებს, მას ასევე „ქართული ოცნების“ კანდიდატი ნუგზარ კალანდარიშვილი ჩაანაცვლებს.

–როდის დაასახელებთ ქ. ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს?

–ამ ეტაპზე ქალაქის მაჟორიტარების კანდიდატები შესწავლის პროცესშია და სიების დაზუსტებისთანავე მედიისათვის ცნობილი გახდება.

გაზეთ „ალიონს“ მაჟორიტარების თემაზე „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აქტივისტი ესაუბრა (მისი თხოვნით გვარს არ ვასახელებთ):

–მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სიაში ბევრი ღირსეული ადამიანია, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ყოფილი „ნაციონალების“ აქტივისტების ამ სიაში შეყვანა. არის ისეთებიც, როცა „ქართული ოცნების“ წევრობა საშიში იყო, ჩირგვებიდან აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას და ახლა დეპუტატობა მოუნდათ. ვიცი, ეს პარტიული დისციპლინის დარღვევაა, მაგრამ რამდენიმე ადამიანი ვაპირებთ დამოუკიდებელ დეპუტატობის კანდიდატებად ვიყაროთ კენჭი, გავიმარჯვოთ და ასე დავიცვათ „ქართული ოცნების“ ღირსება.

ომის ვეტერანებთან შეხვედრაზე ხელისუფლება არ მივიდა?

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლები, ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები და კოსოვოში, ავღანეთში და ერაყის მშვიდობის მისიაში მონაწილე ჯარისკაცები შეიკრიბნენ. მათ ხელისუფლებასთან შეხვედრა და დასაქმების თემაზე დიალოგი სურდათ.

იმის გამო, რომ შეხვედრაზე ხელისუფლებიდან არავინ მოვიდა, დარბაზში უარყოფითი რეაქცია გაძლიერდა.

–„ხელისუფლებას უნდა ვაგრძნობინოთ, ჩვენც კაცები ვართ და ყურადღებას ვითხოვთ“–განაცხადა ერთ-ერთმა აფხაზეთის ომის მონაწილემ.

ჩვენც შევეცადეთ, ვეტერანების მიერ მოწვეულ პირებს დავკავშირებოდით, მაგრამ მათ ჩვენს ზარებსაც არ უპასუხეს, მხოლოდ სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურის თანამშრომელი თამთა სვანიძე მოვიდა. იგი დაპირდა ვეტერანებს, მათ პრობლემებს სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს გააცნობდა.

დაიშლება თუ არა ოზურგეთი რამდენიმე მუნიციპალიტეტად ანუ ოზურგეთული ცარცის წრე

ნინო ნიკოლაიშვილი

შეხვედრა, რომელიც ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში 20 მარტს გაიმართა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დეცენტრალიზაციის თემას მიეძღვნა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ახალი კოდექსით შეთავაზებული მოდელის ერთი ვარიანტის მიხედვით, ოზურგეთი გახდება თვითმმართველი ქალაქი, სოფლები კი ცალკე ერთიან მუნიციპალიტეტად უნდა ჩამოყალიბდეს. მეორე ვარიანტით კი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთის ნაცვლად 6 მუნიციპალიტეტის შექმნაა გათვალისწინებული.

1. ცენტრი – ნატანები (ქვემო ნატანები, ზემო ნატანები, შეკვეთილი, დ. ურეკი, , წვერმაღალი, შრომა, ვაკე, ზედუბანი, მოცენარი, ორმეთი და ხრიალეთი);

2. ცენტრი – მერია (მერია, ნაღობილევი, ჭახვათა, ხვარბეთი, დ. ლაითური, კონჭკათი, განთიადი და თხინვალი);

3. ცენტრი გურიანთა (ბაილეთი, ახალსოფელი, ჭანიეთური, სილაური, ჯუმათი, ბოგილი, იანეთი, ძირიჯუმათი, დ. ნასაკირალი, მელექედური, ციხისფერდი, და გურიანთა.).

4. ცენტრი – ლიხაური (ლიხაური, აჭი, კვაჭალათი, ნიაბაური, გოგიეთი, ზემო მაკვანეთი, ჭანიეთი, ქაქუთი ვაშტიალი, დ. ნარუჯა);

5. ცენტრი –შემოქმედი (შემოქმედი, გომი, გონებისკარი, ჭალა, წითელმთა, დვაბზუ, ვაკიჯვარი, ფამფალეთი, ცხემლისხიდი, ბაღდადი, ზედა უჩხუბი);

6. ცენტრი ქვ. ბახვი (ზედა ბახვი, მშვიდობაური, ოქროსქედი, ქვედა ბახვი, ზედა ძიმითი, ნასაკირალი, ქვედა ძიმითი, გაღმა დვაბზუ, ასკანა, დაბალი ეწერი, მზიანი, ვანისქედი, უკანავა); ჩამონათვალში გამორჩენილია მთისპირი, ნაგომარი, ბოხვაური.

ყოველგვარ სიახლეს ახლავს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, უდაოა, საკითხი დადებითის მეტობით უნდა გადაწყდეს. თუმცა, ქოთანს რომ ორივე მხრიდან შეიძლება მოებას ყური, ეს კარგად იციან და ამ პრინციპიდან გამომდინარე, ახლა სასწორი იქეთ გადაიხრება, რომელი მხარე უკეთ დაარწმუნებს საზოგადოებას.

ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ წარმომადგენლები კოკა კიღურაძე და დავით ლოსაბერიძე ადგილობრივი თვითმმართველობის ყოფილი და ამჟამად შეთავაზებული პირველი ვარიანტის მიმოხილვის შემდგომ, ოზურგეთის დეცენტრალიზაციის მოდელის თავისებურებების შესახებ ესაუბრა ოზურგეთელი საზოგადოების ნაწილს.

დავით ლოსაბერიძის თქმით, ყველა მოდელს ახლავს თავისი სირთულეები. თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის კანონის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მთავრობაში და მათგან ზოგიერთი თავად ეწინააღმდეგება მათივე ადრინდელ ინიციატივას. – არსებობს ხელისუფლებისა და ადგილობრივი ინტერესები. რა გარანტიები აქვს პოლიტელიტას რომ ეს პრობლემებს არ შეუქმნის მათ, მაშინ, როდესაც ამჟამინდელი ვარიანტით მართვა ზემოდან ადვილია.

რას მიიღებს სოფელი, როგორ შეუწყობს ხელს ახალი მოდელი რეგიონალურ განვითარებას, მოსაზრება ასე დაასაბუთეს. –ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონალური განვითარებისათვის 360 მილიონი ლარი ჰქონდა გათვალისწინებული ბიუჯეტში, თუმცა 120 მილიონი ვერ აითვისა, რადგან თანხა მუნიციპალიტეტიდან წარდგენილი პროექტების მიხედვით უნდა განაწილებულიყო და განაწილდა კიდეც. შესაბამისად გამგებლებს წინასწარ ეცოდინებათ მათთვის გათვალისწინებული თანხა და სწორედ ამის მიხედვით შეადგენს თავისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. გაიზრდება ხელისუფლების ანგარიშვალდებულება ხალხთან, მოსახლეობაც მეტად აქტიური გახდება. გაიზრდება სოფლებისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა და წვრილი მუნიციპალიტეტები თავად განკარგავენ მას. მუნიციპალიტეტებში განვითარდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა...

6 მუნიციპალიტეტისთვის განკუთვნილია 295 საშტატო ერთეული.

მათე სკამკოჩაიშვილის კითხვაზე, რა პრინციპით გაიწერა სავარაუდო ბიუჯეტი, რაც მოსახლეობის სულადობის მიხედვით არ არის გადმოცემული. მომხსენებლის განმარტებით, განაწილება მოხდა ტრანსფერის მიხედვით.

ხმაური მოჰყვა დვაბზუელ **ქეთევან ჭეიშვილის** გამოსვლას: –რატომ გვარწმუნებთ იმაში, რომ ამჟამინდელი მუნიციპალიტეტი ცუდად მუშაობს და უკეთესი მდგომარეობა იქნება მეორე შემთხვევაში, რატომ ფიქრობთ თანაბრად განაწილდება თანხა, არ გითქვამთ, რას მიიღებს სოფელი. თქვენი საუბარი ჰაერში გამოკიდული მგონია. ქაღალდმანიითა და კომპიუტერით ადვილად უყურებთ პრობლემებს. მთავარი მუნიციპალიტეტი კი არა, გლეხია. მიწის მოვლა და დამუშავება, რაც სოფლის საარსებო საშუალებაა. ხალხს პურის ფული არ აქვს, რა პროექტის განხორციელებაზე საუბრობთ. ეს გამოიწვევს სოფლების დაპირისპირებას.

ქეთევან ხიდაშელი, ა.ს.ი.პ. (ქალები რეგიონის განვითარებისათვის) ხელმძღვანელი: – რატომ არ ვიღებთ ხმას, რომ ქალაქში 10-ჯერ მეტი ფული იხარჯება, ვიდრე სოფელში, თუ არ დავძლიეთ პროვინციალიზმი, მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება..დავსვათ კითხვა, თუ არაფერს გააკეთებს კარგს აღნიშნული პროექტი, რას გააკეთებს ცუდს.

გურამ ცერცვაძე: ნუ დავანგრევთ ისედაც დანგრეულ გურიას, რა დაყოფაზეა საუბარი, როცა გურია მსოფლიოში ბოლოდან პირველ ადგილზეა, ერთ სულ მოსახლეზე 94 თეთრი იხარჯება, ეს მოდელი იმუშავებს მაშინ, როცა ცოტა მოვძლიერდებით. ამ ეტაპზე ნაჩქარევად მიმაჩნია, რადგან არ არის მიწის კადასტრი, აღწერილი შესაბამისი ქონება. არ არის შესწავლილი მიწის შემადგენლობა, მოსაშენებელი კულტურები, ვიცით მარტო როგორ დავითვალოთ ზარალი. ნაჩქარევი უწოდა ამ გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილმა დეპუტატმა **ზაურ კოსტავამ** და აღნიშნა, რომ ეს კიდევ უფრო დააცარიელებს სოფლებს.

დეცენტრალიზაციის დადებით მხარეებზე ისაუბრეს **ლევან ხინთიბიძემ**(სდგკ ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი) **თამაზ ტრაპაიძემ** (საია ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი) **თეა აბაშმაძემ**, იურისტი; მათივე განმარტებით საჭიროა მოსახლეობასთან მეტი შეხვედრები, რადგან მეტად გაიგონ იმ სიკეთეების შესახებ, რასაც მიიღებს ხალხი.

კობა ცერცვაძის (სათემო კავშირი „იმედი“) თქმით , სოფელს სჭირდება ერთი არჩეული გამგებელი და ხელმისაწვდომი ბიუჯეტი, სხვა დონე მათთვის საინტერესო არ არის.

დაისვა საკითხი მუნიციპალიტეტის ორ ნაწილად ანუ აღმოსავლეთ და დასავლეთ მუნიციპალიტეტებად დაყოფისა.

.საითკენ გადაიხრება სასწორის პინა, ეს მალე ბახდება ცნობილი, რაც შეეხება ოქროს შუალედის პოვნას, დემოკრატიაც იყოს და მეტი ფინანსიც, ამის ყველაზე ზუსტი ექსპერტი დროში ნაჩვენები შედეგებია, მანამდე ოზურგეთულ ცარცის წრეში აზრთა ჭიდილი საკმაოდ მძაფრად იტრიალებს.

alion.ge (20.03. 2014)

ქალაქ ოზურგეთში განხორციელებული და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები

2013 წელს ქალაქ ოზურგეთში მუნიციპალიტეტის გამგებლის, კონსტანტინე შარაშენიძის ინიციატივით, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

ერთ-ერთი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტი საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია იყო, რადგან წლების მანძილზე მოშლილი იყო ინფრასტრუქტურა და ბავშვები არასათანადო პირობებში იმყოფებოდნენ.

სწორედ ამიტომ, კონსტანტინე შარაშენიძის ინიციატივით, მთავრობის წინაშე დაისვა მათი გარემონტების საკითხი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქის 1, 7-ე, 9-ე საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტი დაფინანსდა. ამ ეტაპზე სამივე საბავშვო ბაღის რემონტი დასრულებულია და ისინი ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილია.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, დავით ნარმანიას თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარემონტებული საბავშვო ბაღები კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა მოეწყოს საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა.

გარდა საბავშვო ბაღებისა, ქალაქ ოზურგეთში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

დაბა ანასეულში, უნივერსიტეტის ქუჩის 1 კმ სიგრძის ავარიული საავტომობილო გზა ასფალტო-ბეტონის საფარით მოეწყო. დასრულდა ლესელიძის ქუჩის 510 მეტრი სიგრძის ავარიული მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც სოფელ ოზურგეთის ცენტრალურ გზას შეუერთდა, მოასფალტდა „მოიდანახეს“ სასაფლაოსთან მისასვლელი ქორიძის ქუჩა, ქალაქის ცენტრში, სასტუმრო „გურიის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე მოასფალტდა ნინო რამიშვილის სახელობის ქუჩა, რამაც ამავდროულად მისი ტრანსპორტისაგან განმუხტვა განაპირობა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე არსებულ აღმართს და მანქანებს გადაადგილების შესაძლებლობა მიეცათ, პარალელურად მიმდინარეობდა სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები და გზების ლოკალურად შეკეთება.

გამოიცვალა ქალაქის საპატრიარქო რეზიდენციის წინ მწყობრიდან გამოსული სანიაღვრე მილი, რომელიც მიმდებარე ტერიტორიას წლების მანძილზე ტბორავდა, ხოლო რეაბილიტირებულ ტროტუარზე ქვაფენილიც დაიგო.

გადაიხურა გრიბოედოვის ქუჩა 31-ში მდებარე 12 სართულიანი კორპუსი, მთლიანად შეკეთდა ფარნავაზ მეფის ქუჩა 1-ში მდებარე 12 სართულიანი და პეტრიწის ქუჩა 1-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების სახურავები და წყალგამტარი და წყალშემკვრელი მილები მოეწყო. ასევე გადაიხურა კოსტავასა და ჯორჯიაშვილის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი კორპუსები. ქალაქის მასშტაბით 20-მდე ინდივიდუალური სახლი გადაიხურა და 50-მდე ოჯახს სამშენებლო მასალა გადაეცა.

თენიეშვილის ქუჩა 12-ში მრავალბინიან ცხრა სართულიან კორპუსში ახალი ლიფტი დამონტაჟდა, რითაც მაცხოვრებლებს 1988 წლის შემდეგ არ უსარგებლიათ. კორპუსის სადარბაზო ასევე მეტალო-პლასტმასის ფანჯრებითაც აღიჭურვა.

ჩატარდა ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და მუზეუმის შენობის სახურავების სწორი გადახურვითი სამუშაოები.

ამ ეტაპზე ქალაქში მდინარე ბჟუჟის სანაპიროს გასწორხაზოვნებითი სამუშაოები და სხვადასხვა ტერიტორიებზე ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა მიმდინარეობს.

ქალაქში ჩასატარებელი სამუშაოების ეფექტურად და ოპერატიულად განხორციელებისათვის , „სერვისცენტრის“ კეთილმოწყობისა და გამწვანების სამსახურები სპეციალური ტექნიკით აღიჭურვნენ.

კონსტანტინე შარაშენიძის ინიციატივით, ქალაქ ოზურგეთში ძველი ბაზარი აღდგა, რამაც ამავდროულად, ქალაქის ძველი სავაჭრო ტრადიციის აღდგენა განაპირობა.

წლების მანძილზე მოვაჭრეები შეჭედილ ფარდულებში, არასათანადო პირობებში ვაჭრობდნენ. დღეს კი მათთვის სპეციალური სავაჭრო დახლებია მოწყობილი და ბაზრის მთელი ტერიტორია მოასფალტებულია. ჩატარებული სამუშაოებით კი როგორც მოვაჭრეებისათის, ისე მყიდველთათვის კომფორტული პირობებია შექმნილი.

ნიკო ნიკოლაძის ქუჩა 5-ში „სამეურნეო ეზო" მოეწყო, რომელიც ამ დროისათვის პირველი პრეცედენტია მუნიციპალიტეტებს შორის და მიზნად ისახავს ექსკლუზიური უფლებამოსილებების განსახორციელებლად საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განთავსებას, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასა და მოწესრიგებას, ტექნიკის განსათავსებლად ძველი შენობა-ნაგებობების აღდგენას, სადაც სპეციალური ავტოფარეხები და სარემონტო ბოქსები იქნება.

მუზეუმის წინ ახალი საყვავილეც მოეწყო, რითაც მოვაჭრეებისათვის ახალი და კომფორტული გარემო შეიქმნა.

2014 წელს კი ქალაქ ოზურგეთში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება. მათ შორის არის წმინდა გიორგის ქუჩა - ექადიის სასაფლაოს 2,7 კმ. საავტომობილო გზის 1 კმ მონაკვეთის რეაბილიტაცია, კვლავ პრიორიტეტული იქნება საბავშვო ბაღების რემონტი. კაპიტალურად შეკეთდება შევჩენკოს ქუჩა 2-ში მდებარე 2-ე და სამთო ქიმიის ქუჩა 8-ში მდებარე 6-ე საბავშვო ბაღები. ამავდროულად, კეთილმოეწყობა გრიბოედოვის ქუჩის 3, 27 და 25 მრავალბინიანი კორპუსების ეზოები და მისასვლელი გზები, ჭავჭავაძისა და დოლიძის ქუჩების კვეთაში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შიდა ეზოები.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

№	დასახელება	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართი მ²	ბინ. შენობის ფართი მ²	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	"ბე" (ლარი) 30%	"ბიჯი" (ლარი) 5%	მონაწილის ბილეთის ფასი	მიწის სარეგისტრაციო ნომერი
1.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი სანაპიროს ქ.	152 კვ.მ.	–––––	1220	366	61	20	26.26.48.223
2.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი ა.წულაძის ქ.	72 კვ.მ.	----------	1230	339	62	20	26.26.47.203
3.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი ჟრენტის ქ.	400 კვ.მ.	----------	4067	1220	203	20	26.26.48.128
4.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ოზურგეთი დაბა ურეკი	144 კვ.მ.	---------	4530	1359	227	20	26.28.19.245
5.	შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ოზურგეთი სოფ.მერია	4091 კვ.მ.	1524,6 კვ.მ. (დანგრეული)	13730	4119	687	20	26.05.38.021
6.	შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ოზურგეთი ექადია	4000 კვ.მ.	№1 – 200 კვ.მ. №2 – 90 კვ.მ.	8680	2604	434	20	26.26.52.005
7.	შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. ოზურგეთი გურამიშვილის ქ.	687 კვ.მ.	100 კვ.მ.	11290	3387	565	20	26.26.56.057

საუქციონო პირობები:

ა. საპრივატიზებო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში

საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:

ა. ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე.

ბ. აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს

№	დასახელება	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართი მ²	ბინ. შენობის ფართი მ²	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	"ბე" (ლარი) 30%	"ბიჯი" (ლარი) 5%	მონაწილის ბილეთის ფასი	მიწის სარეგისტრაციო ნომერი
1.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი გრიბოედოვის ქ.	63 კვ.მ.	–––––	441	132	22	20	26.26.48.217
2.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი ი. შემოქმედელის ქ.	350 კვ.მ.	----------	1210	363	61	20	26.26.45.056
3.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი დოლიძისნ ქ.	26 კვ.მ.	----------	450	135	23	20	26.26.46.018
4.	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი ყაზბეგის ქ.	360 კვ.მ.	--------	1446	434	72	20	26.26.52.015

საუქციონო პირობები:

ბ. საპრივატიზებო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის ვადაში

საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია:

ც. ვალდებულების აღება საუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე.

დ. აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება.

აუქციონში მონაწილეობა:

აუქციონში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%–ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. „ბე"- ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებმა ოზურგეთის თეატრი კვლავ ააჰმოვანა

ნინო ნიკოლაიშვილი



თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ჩვენებისას ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენა 28 მარტს ნოდარ დუმბაძის გმირებმა ააჰმოვანეს. „თეთრი ბაირაღები" საქართველოს არაერთ თეატრში წლებია წარმატებულად იდგმებოდა. მათ შორის ოზურგეთის თეატრში გასული საუკუნის 70-იან წლებიდან იოთანაშვილისა და მაცხონაშვილის დადგმის შემდეგ, ამჯერად უკვე მესამედ დაიდგა. ოთარ მეღვინეთუხუცესის, გივი ბერიკაშვილის და სხვა ცნობილ მსახიობთა მიერ შექმნილი სახეების შემდეგ, რომელიც მაყურებელთა მეხსიერებას კარგად შემოუნახავს, ძნელია შექმნა ახალი, თვითმყობადი სახე. თუმცა თითოეული პერსონაჟის ხასიათისთვის გასაღების მორგება ოზურგეთელმა მსახიობებმა კვლავ მოახერხეს და სპექტაკლის პრემიერაც სრული ანშლაგით წარიმართა.

სპექტაკლის დაწყების წინ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ კიდევ ერთხელ მოუწოდა მსახიობებსა და მაყურებელს „გმირობისკენ" და მადლობაც წინასწარ გადაუხადა. აღსანიშნავია, რომ თეატრის გაყინულ დარბაზში ყოფნა, შემოდგომიდან მოყოლებული თითქმის ზაფხულის დასაწყისამდე, მართლაც გმირობის ტოლფასია როგორც მსახიობებისთვის, ისე მაყურებლისთვის.

ორმოქმედებიანი პიესა ნოდარ დუმბაძის 85-ე წლისთავს მიეძღვნა. დადგმა და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ოთარ კუტალაძეს; მხატვრები შოთა დარჩია, თამაზ დარჩია; რეჟისორის ასისტენტი მაკა მამულაიშვილი; მოქმედი პირნი და შემსრულებელნი: ზაზა ნაკაშიძე – გიორგი დოლიძე; დედა – ლია მარტიაშვილი; ჭიჭიკო გოგოლი – თემურ კვირკველია; ლიმონა დევდარიანი – ირაკლი ვადაჭკორია; შოშია გოგოლაძე – გენადი ნიკოლაიშვილი; ისიდორე სალარიძე – ალექსანდრე ლომიძე; ტიგრან გულოიანი – ლევან საღინაძე; გიგლა შოშიაშვილი – ომარ ურუშაძე; ჭეიშვილი – იური ჯიჯიეშვილი, ვახტანგ ჩხარტიშვილი; ნუნუ ექიმი – ქეთი ცეცხლაძე, მარი ხანთაძე; გამცემლიძე – ივანე ჩხაიძე; მებურიშვილი – ნუგზარ ბარამიძე; გაგუა – ოთარ კუტალაძე; ხელაძე – ზაზა ჯინჭარაძე; ზედამხედველი ჯემალ კეჭაყმაძე;

თავისუფლებაშეზღუდული ადამიანები სცენის ატრიბუტიკასთან ერთობლიობაში. ჯაჭვები, გისოსები, ობობას ქსელხლართები, ბაგირი, ზოგან ირღვევა ჯაჭვის მთლიანობა, პატარა სარკმელი და ამ სარკმლიდან მკრთალად მოკიაფე ხუთი პატარა ვარსკვლავი, აკავშირებს თავისუფალ სამყაროსა და ციხის საკანს. კიდევ ერთი საბჭოური სიმბოლიკა, წითელი ჰალსტუხი კითხვის ნიშნად დასვა სპექტაკლის შემოქმედებითმა კოლექტივმა. თუმცა ამ სიმბოლოებს სპექტაკლის ერთ-ერთი პერსონაჟი ისიდორე სალარიძე თავისუფლების სიმბოლოებს უპირისპირებს. ეს ანბანი, დროშა და ჰიმნია. ამ ჭიდილში სამართალი თავისი კანონებით მსჯელობს, ცხოვრება კი თავისი კანონებით. განაჩენიც ასევე ორმხრივია, შეფასებები საკუთარი თვალითა და მორალიდან გამომდინარე. სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა სახეები ქართულ სახეებთან ერთობლიობაშია წარმოდგენილი. ის, რაც ოდითგან მომდინარე, ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

გამოცდილი მსახიობების გვერდით, საინტერესო სახეები შექმნეს ახალგაზრდა მსახიობებმა გიორგი დოლიძემ, ლევან საღინაძემ, ქეთი ცეცხლაძემ.

პრემიერაზე ოზურგეთს სტუმრობდნენ ზაზა სოფრომაშვილი, კულტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსი; ხელოვნებათმცოდნეები მარინა ვასაძე, ნანა ჯიქურაშვილი, მერაბ გეგია. თუმცა გაუსაძლისი სიცივის გამო, მათი კომენტარები საკმაოდ მოკლე აღმოჩნდა.

მარინა ვასაძე: მიხარია, რომ მსახიობები თეატრში ასეთი რთული მიმდინარე პროცესების მიუხედავად, გმირულად უძლებენ ყოველივეს და ოზურგეთის ასეთი ცივი დარბაზის ფონზე სცენას თავისი შემოქმედებით ათბობენ.

ნანა ჯიქურაშვილი: - სპექტაკლში ყველაფერი ნორმალურად და აწყობილად მიმდინარეობდა, მაგრამ ასეთ პირობებში რა შეფასებები შეიძლება გააკეთო, აქ მსახიობებიც გმირები არიან და მაყურებელიც.

როგორც **ვასილ ჩიგოგიძემ** აღნიშნა, თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი მაყურებელს ბევრ საინტერესო ჩვენებას ჰპირდება, მათ შორის როგორც ძველი დადგმების განახლებას, ისე ახალ პრემიერასაც. – „თუ სპონსორი ვიშოვეთ, აუცილებლად ჩამოვა ჩვენთან ტემურ ჩხეიძე და დადგამს სპექტაკლს.

ჩვენ თქვენს გარეშე არ ვარსებობთ".



თინა მელუა

ოზურგეთის პედაგოგთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქვეყნოდ ცნობილი პედაგოგის, დიდებული ადამიანის, ჭეშმარიტი მოძღვრის ნათელა (თინა) მელუას გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახს, სკოლას, სოფელს.

რაიონის პედაგოგთა პროფესიულ კავშირს არასოდეს გაუწყვეტია ურთიერთობა ქ-ნ ნათელასთან, სკოლიდან წასვლის შემდეგაც არაერთგზის ვეწვიეთ სახლში, ვცდილობდით სითბო და სიყვარული არ მოგვეკლო ამაგდარი ქალბატონისთვის, რადგან ისეთი პედაგოგები, როგორიც ქალბატონი ნათელა იყო, თითზე ჩამოსათვლელია არამარტო რაიონში არამედ რესპუბლიკაშიც. ქალბატონი ნათელა მადლიერებით და სიყვარულით გვმასპინძლობდა, დაუვიწყარია მასთან საუბრები. მოძღვრის ამაგის საფერი დაფასება ძნელია, მაგრამ ქალბატონი ნათელას ღვწა არ დარჩენილა არც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და არც ხელისუფლების მხრიდან შეუმჩნეველი. საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს უამრავი ჯილდო, დიპლომი, სიგელი თუ მადლობის ბარათი ჰქონდა მიღებული. მაგრამ ყველაზე მთავარი იყო ის აღიარება, სიყვარული რასაც სიცოცხლეშივე გრძნობდა აღზრდილების კოლეგების თანასოფლელების თუ სხვათა მხრიდან

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს ღვაწლმოსილ, ღირსეულად აღსრულებულ, ვალმოხდილ ქალბატონს. ნათელა მელუას ხსოვნას კი მარად მივაგებთ პატივს.

როზა გოგუაძე

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

„მაშა, დუმილიც მიითვალე შენდამი ლოცვად!"

ირმა თავაძის გახსენება

მენატრები.

მტკივა რაღაც, ვერ განვირიდე გულისტკივილი. მუდამ ამას ვფიქრობ შენზე (სევდამორეული); გულის ჯამში დამიგროვდა ჭვარტლი (მოგიზგიზე სიყვარულის გამო!).

გხედავ, სადაც ხარ. მიდიხარ, ვითარცა ცისფერი ზმანება, ვარსკვლავთ მიღმა მოციაგე. გიხმობენ აღზრდილები. ალერსით ივსები, სათნო და კეთილი.

ჭეშმარიტად ბედნიერია ის, ვინც შენ განსწავლე, ვისაც შენმიერი მიეცი საზრდო!..

პატივს მიაგებდი უძველეს შეგონებას:

კარგი მასწავლებელი –ადამიანი რესურსი, ანუ ბავშვები თვითონვე სწავლობენ და მასწავლებელთან მიდიან, როგორც ისეთ ადამიანთან, რომელიც მათ დაეხმარება ცოდნის შეძენაში.

–მიხარის შენეული შეგონება:

სკოლა –სიხარულის სახლი (ბავშვები –მეგობრული);

– მასწავლებელი – სადა და უბრალო სწავლებაში);

ბავშვი – სამყაროს ნეტარება. აქვე ჟან ჟაკ რუსოს შეგონება: „ბავშვმა უნდა აკეთოს, რაც მას უნდა, მაგრამ ის უნდა იცოდეს, რაც თქვენ გინდათ."

–ნიჭით გამორჩეულმა წარმატებით ჩააბარე მისაღები გამოცდები თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის გერმანულ-ინგლისურ ენათა სპეციალობაზე.

მოსწავლეთათვის ხატღმერთი იყავ, ჩემო სისხლხორცო!... არასოდეს დაავიწყდები მეგობრებს თუ პედაგოგებს.

შენ გოეთეს ეპიგრამების თარგმნა გეწადა. ჟამი მუხთალი ჩაგისაფრდა, ჩემო! წარუვალ სიცხადეთა საუფლოში ღვთისმოსავთა ნააზრევი გაითავისე. ჭეშმარიტად, ნეტარ არს, ვინც შენ ითვისე.

ბედნიერება ნუ გწადს სხვაგვარი. დიდმშვენიერი ცოდნის მეგზურს, დრომ დიადემა კრძალვით შეგიხვია. მიდიხარ ვითამცა ცისფერი ზმანება, ვარსკვლავთ მიღმა მოციმციმე.

მრავალგზის წავიკითხე შენი ჩანაწერი დღიურიდან:

„შთამომავლობა ჩემს ნაკვალევს მარად იწამებს
და არასოდეს ჩემი მზე
ა რ ჩ ა ე ს ვ ე ნ ე ბ ა.
მიწიერ შვენის მოლოდინში,
რაც ასე მწადდა...."

(გოეთე).

გხედავ, სადაც ხარ. იქაც გხედავ, სადაც სხვა ვერ ხედავს. შენ კი მიდიხარ ჩემო, ვითარცა ციური ზმანება, ვარსკვლავთ მიღმა მოციმციმე. უზომოდ გიყვარდა გალაკტიონი. მისთვის პარნასიც გეცოტავებოდა.

მრავალგზის წავიკითხე შენი ჩანაწერი. გამექცა ფიქრი, იმ ფიქრს იქით...

მაგიდაზე დევს შენეული წიგნები, ფრაგმენტები, მოგონებები. ნუთუ, გული გიგრძნობდა ავის მოსწავებას?

მეოცა ჩემო დღიურში ჩანაწერი:

„შენ ხარ, რადგანაც მე ვარსებობ,
ან პირიქით.
ამ მაღალ ღამეს ციკლოპივით
ერთი თვალი აქვს!"

(დედის ხატი).

ნიჭი და სილამაზე. მარადისი მშვენიერება. ტკივილთა –ტკივილი. დედამ სიზმარში გიხილა. ცრემლი –ცრემლს –მოჰყვა. სევდას-ტკივილი. მოფრინდნენ ანგელოზები. ფრთები გაშალეს, ალერსით აგავსეს მარადისობის ბინადარი.

„სიცოცხლე იმასვე ნიშნავს, რაც მუდამ იყო. ძაფი არ გამწყდარა, რად გგონივარ შენს ფიქრთა მიღმა? იმიტომ, რომ შენს თვალსაწიერს გარეთა ვარ. მე შორს არ ვარ. ზუსტად გზის გაღაღმა ვარ. ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად არის."

(„ნეტარი ავგუსტინე")

იცი ჩემო, გული მეკუმშება, სულს ეტირება. ლამის მოგხვიო ხელი და ჩაგჩურჩულო: შენ ჩემო სისხლო, ხმა გამე!.. გიხმობ, გეძახი... როდემდე, როდემდე!

ლალი თავაძე.

5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

–– აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე მაღალი საფასურის შეთავაზება

–– „ბე"-ს და მონაწილეობის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი შეტანილი უნდა იქნეს ანგარიშზე - ა/ნ 300663205

–– დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ კომისიაში"

მისამართი. ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

–– აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ–კვირის გარდა 2014 წლის 31 მარტიდან 2014 წლის 16 აპრილის 12 სთ-მდე.

–– აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 16 აპრილს 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

–– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი კომისია" ტელ: **895908977, 895305033, 895906305.**

ზვიად გამსახურდია –75

უდაბნოსა და უდაბნოს შორის

ზვიად გამსახურდია – საქართველოს პირველი პრეზიდენტი! მე კი ვთვლი, რომ შენ არც პირველი იყავი და არც მეორე. დგახარ სრულიად ცალკე, ნათლით შემოსილი და როგორც სულით ხორცამდე გულწრფელს, მეც გულწრფელად გეუბნები –შეუნდე და შეიბრალე ყველა ის ადამიანი, ვინც ვერ დაგინახა, ვერ შეიცნო და შენთან მიმართებაში წარმავალი არჩია. მე კი დამიტოვე დიდი სიამაყე, რომ იმ წლებში არ აღმოვჩნდი ბარიკადებს მიღმა – ჩაუშესკუ! ჩაუშესკუს ძახილით... დამიტოვე განცდა შენი იდეების პატივცემისა და ბოლომდე ერთგულებისა. შენი აღფრთოვანება და შეფასება ჩემი ნაწერებისა, რომელსაც ასე იოლად არ გასცემდი...

როცა ბერი გაბრიელი გარდაიცვალა, მაშინ თბილისში ვიმყოფებოდი ჩემს ახლო სულიერ მეგობართან (ისიც შენი იდეების პატივისმცემელი და აწ გარდაცვლილი დავით ბერსენაძე). სახლში მოსული წუხდა, სულ რამდენიმე ადამიანი დავესწარით მის დაკრძალვასო. წუხდა იმ სკეპტიკური დამოკიდებულების მიმართ, რაც იმ ხანად მამა გაბრიელის მიმართ არსებობდა. მაშინ ბერმა დაიბარა, რომ მოვა დრო, როცა მის წინაშე მუხლს მოიდრეკდა ნახევარი საქართველო.

სამჯერ, რამდენიმე კაცის თანხლებით სხვადასხვა ადგილას დაგასაფლავეს. თოთხმეტი წლის შემდეგ შენს სამშობლოში დაბრუნებულს მართლაც ნახევარი საქართველო მივაცილებდა სვეტიცხოვლიდან – მთაწმინდისაკენ.

საქართველოში შენმა დაბრუნებამ ბევრს დაახრევინა თავი. ბევრს მოჰგვარა ღირსი სინანული, ბევრიც ისევ თრითინებად და ციყვებად დარჩა და დღესაც, როგორც მაშინ დაძრწიან რას ჩაუსაფრდნენ, რა დაიჭირონ, რა შეთითხნონ და როგორც შენი დიდი მამა იტყოდა –„ბალღის ნიფხავივით მოკლე და ტურტლიანი წუთისოფელი“– ასე პატარკაცებად განვლონ...

კიდევ ერთხელ ვფურცლავ შენს არაჩვეულებრივ ესსეს -„უდაბნოსა და უდაბნოს შორის.“ შენც ტოლსტოის მსგავსად გადალახე პოლარობა ორ უდაბნოს –უმაღლეს საზოგადოების უდაბნოსა და ოპტინის უდაბნოს შორის, თუმც მის მსგავსად მზის შუაგულში დაეცი.

„დიდი ადამიანები იმითაც გამოირჩევიან, რომ მათში ეპოქის ცხოვრებისეულ, პირად ტრაგედიად გარდაისახება ხოლმე. ხშირად მათშივე ისახება მთელი სიდიადე და ბედნიერება წლისა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ.“–ზვიად გამსახურდია.

შენი გზა მთავრობის სახლიდან ხიბულამდე -არის გზა გოლგოთისა, წიწამურისა. მადლობა უფალს, რომ არ გაგიმეტა პატივისთვის, სიამისთვის, სიმაძღრისთვის, სიხარბისთვის...

როცა საწოლში აღსრულებული გნახეს, ჯიბეში გედო სურათი, დღიურები, რომელსაც განუწყვეტლივ წერდი და შენი ლექსი, შენი წინასწარმეტყველება– „ოთხჯერ დასაფლავება“....

ოლიკო კობალავა

გურიის, ოზურგეთის პირველ პირებს, ბატონებს: ჩხაიძეს, სურგულაძეს, შარაშენიძეს...

გ ა მ ა დ ლ ო ბ თ!

რა საოცარი და ლამაზი დღე გაგვითენეთ ჟურნალისტებს. მართლაც არ მეგონა, თუ კომუნისტების მერე, ჩვენი პროფესიული დღე ასე მნიშვნელოვანი იყო ვინმესთვის და ასე მრავალმხრივად, შინაარსიანად, მრავლისმთქმელად აღნიშნავდით!

რა დიდებულად დაწერილი სცენარი იყო...

არც ასაკოვნები (ღვაწლმოსილნი არა) დაგვიწყებიათ, ბევრი თბილი სიტყვა გვითხარით, ყვავილების თაიგულებიც მოგვართვით!

ამერიკელი მწერლის ერსკინ კოლდუელის ეს შთაგონებაც კი გაიხსენეთ: „იყო ჟურნალისტი – ნიშნავს აღწერო ყოველი დღე. მე არ მეგულება ამაზე უკეთესი საქმიანობა....“

ჩვენი პროფესიული დღის აღნიშვნით, ჩვენ გავიაზრეთ, როგორ შეგიძლიათ სიტყვის ღირსეულად თქმა!

გმადლობთ!

ასეთი დღეები გაამრავლეთ! ეს თქვენც მოგიხდებათ და საერთო საქმესაც!

ეთერ ქადეიშვილი.

მინაწერი: წაიკითხეთ ეს სამადლობელი?! მკითხველო, თქვენც კმაყოფილი ხართ?.. მაგრამ...

სიზმარ იყო, სიზმარ იყო, სიზმარ იყო!!!

სამადლობელიც დავაგვიანე! პატიებას გთხოვთ! იცით რატომ დავაგვიანე?

გვიან გამელვიძა, გ ვ ი ა ნ... მაგრამ, ხომ არის ასეც: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს?!

ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში კვლავ დაბალია

დიმიტრი კვერღელიძე (თავისუფალი დემოკრატები):– ჩვენ ქალაქის საკრებულოში ორი ადგილი გვერგო, აქედან ერთ ქალია. არაერთ ქალს შევთავაზეთ არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ მათგან უარი მივიღეთ. არ არსებობს საქმე, სადაც მამაკაცმა არ აჯობოს ქალს, რადგან ქალს სხვა ბიოლოგიური და სოციალური მდგომარეობა უკავია. ქალი ძალიან ძლიერი და ჭკვიანი უნდა იყოს, რომ გაუწიოს მამაკაცს კონკურენცია, ასეთი ქალის მოსვლას საკრებულოში მივესალმები და ჩვენი პარტიის კარი მათთვის ღიაა.

მიხეილ გოგოტიშვილის თქმით (ერთიანი ნაციონალური კოძრაობა) მათ პარტიაში ქალები საკმაოდ წარმომადგენლობით იქნებიან პარტიულ სიაში.

ლელა ნაცვალაძე (ბურჯანაძე დემოკრატები):– ქალის ძებნა პარტიამ წინასაარჩევნოდ კი არ უნდა დაიწყოს, მანამდე უნდა იზრუნოს მის გაძლიერებაზე.

თამაზ ტრაპაიძის (საია-ს ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი) თქმით, პოლიტიკური პარტიები არჩევნებში იმ კანდიდატებს ასახელებენ, რომელთაც გამარჯვების მეტი შანსი აქვთ.

რა უშლის ქალს ხელს, იყოს პოლიტიკაში, შეხვედრაზე ასეთი პასუხები გაიცა: ქალი არათანაბარ კონკურენტიან გარემოშია მამაკაცებთან; საზოგადოებაში კვლავ არსებობს გარკვეული სტერეოტიპები ამ მიმართებით; ქალს მეტი დატვირთვა აქვს ოჯახში, ვიდრე მამაკაცს. არ არსებობს ქალის ნება პოლიტიკაში მოსასვლელად...

მადლიერების გრძნობით

ვცხოვრობთ ანასეულში, ორსართულიან სახლში, რომელიც გასული საუკუნის დასაწისშია აგებული. ნახევარ საუკუნეზე მეტია, სახლს რემონტი არ ჩატარებია. სახურავი არ უვარგოდა, საწვიმარი მილები, კოლექტორი, საკვამურის გარსაცმი არ გააჩნდა. უვლიდა თითქმის ყველა ოთახში, წვიმა ასხამდა შენობის კედელებს, ფანჯრებს, რის გამოც სასტიკად დაზიანებული იყო.

წლების მანძილზე მივმართავდით სამხარეო თუ რაიონული რგოლების ხელმძღვანელს, მაგრამ უშედეგოდ.

2013 წელს თხოვნით მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე შარაშენიძეს მივმართეთ. ის გულისხმიერად მოეკიდა ჩვენს თხოვნას. უმოკლეს დროში შედგა სარემონტო პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. გამგებლის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძემ პირადად შეარჩია საამშენებლო მასალები და სამუშაოთა მწარმოებლები. სარემონტო ბრიგადამ (ხელ-ლები გოჩა მორჩილაძე, კახა აბაშმაძე; ბრიგადის წევრები: გოგი კეშელავა, ნოდარ ცეცხლაძე, გელა თოიძე, ამირან გირკელიძე) კეთილსინდისერად და ხარისხიანად შეასრულა სამუშაოები. გადაიხურა ჩვენი საცხოვრებელი სახლი. ახალ წელს ბედნიერ ი და ხალისიანი შევხდით.

მადლობას ვუხდით კონსტანტინე შარაშენიძეს და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩვენი თხოვნა და აგვიხდინეს წლების განმავლობაში ნანატრი ოცნება.

ცაცა ჯაველიძე, მაიკო ლოლიძე, ნათელა ფიფაიშვილი, რუსუდან დვალიშვილი, მარინა მიქატაძე.

მეცნიერების ქ. №25-ში მცხოვრებლები

უფროსი მეგობრები გილოცავენ

საქართველოს საპატრიარქოს აგროსამრეწველო დეპარტმენტს და ასე შემდეგ.

სიმღერის ნიჭიც გამოგყვა. მაყურებელი მოხიბლული გყავდა ბავშვთა ვოკალური ანსამბლ „კრიმანჭულის“წამყვან სოლისტს, სახელოვანი „შვიდკაცას“ წევრი იყავი და საკავშირო ფესტივალების მრავალგზის გამარჯვებული. შემთხვევით არ მომხდარა, დამსახურებულად აგიყვანეს ქართული ხალხური სიმღერების საერთაშორისო ცენტრის კოორდინატორად.

დღესდღეისობით ჩვენგან შორს ხარ. მოსკოვში ცხოვრობ და ნაყოფიერად საქმიანობ. თვალი თვალს დაშორდა, მაგრამ გული არ გადასხვაფერებულა. იგი შენდამი ისევ დიდი სიყვარულით გვაქვს სავსე. კარგად გიხსენებენ №1 საშუალო სკოლის პედაგოგები, რადგან სწავლითა და ყოფაქცევით სამაგალითო მოსწავლე იყავი. უმაღლესი განათლება მიიღე და როგორც მაღალკვალიფიციური ზოოტექნიკოსი სხვადასხვა შრომით კოლექტივებში მუშაობდი. ახსოვხარ 90-იანი წლების ოზურგეთელ ახალგაზრდებს, როგორც მათი ღირსეული თავკაცი. ხელმძღვანელობდი ტელეკომპანია „გურიას“,

გადიან წლები. უკვე ორმოცდაათის გახდი. შენი უფროსი მეგობრების სახელით გილოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა გაგახაროს შვილებით, გიმრავლოს შვილიშვილები, დიდხანს და ჯანმრთელად გიმყოფოს დედა – ღირსეული ქალბატონი იზოლდა გოგუაძე და ერთადერთი და თავისი ოჯახით. უფალმა ნათელში ამყოფოს ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული შენი კარგი მამა –მამია ერქომაიშვილი.

გვჯერა, რომ მშობლიურ მხარეს აუცილებლად დაუბრუნდები და სოფელ წითელმთაში კერას არ გააცივებ. მალე შეხვედრამდე.

გულსუნდა მახარაძე.



ვულოცავთ!

ცელქ და მოუსვენარ, მაგრამ ყველასთვის საყვარელ, ნიჭიერ ბავშვს, ჩვენს პატარა ამირან მამულაიშვილს(ამუკას) ვულოცავთ 14 წლის შესრულებას. გაიზარდოს ერისკაცად.

ნიკო, ნაირა, ამირანი

ვულოცავთ!



გაზაფხულივით ლამაზ, მუდამ ღიმილიან მასწავლებელს, მაია თვალაბეიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, დღეგრძელობას ვუსურვებთ თავის ლამაზ ოჯახთან ერთად და წარმატებებს –პედაგოგიურ საქმიანობაში.

ცხელისხიდის საჯარო სკოლის პედაგოგები.

განცხადება

ქ. ოზურგეთში, ჭავჭავაძის ქუჩაზე გაიხსნა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ოფისი. ოფისი მუშობს ყოველდღე. სახალხო რეფერენდუმში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მობრძანდნენ ჩვენს ოფისში და შეავსონ შესაბამისი ანკეტა.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. (ყოფილი წიგნის მაღაზიის შენობა).

ილო, კახა, დოდო რუსიძეები ოჯახებით იუწყებიან დეიდაშვილის **ნინო მამაკაიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 1.04. ქ. ბათუმი, სერგი მესხის I ჩიხი, №2.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე